საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN7

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

12 აპრილი 2022წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5. გიორგი ბარათაშვილი, 6. ჯემალი ისაკაძე,7. დავით ცხადაძე, 8. ნატალია ასათიანი, 9.რუსუდან კოვზირიძე, 10.იზა მაგრაქველიძე;
სხდომას არ ესწრებოდა: 0

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 10 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 10 წევრი.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **საკრებულოს გამოკლებული წევრის ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლის ტარიელ ფანჩულიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;**

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 10, წინააღმდეგი-არცერთი;

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო, რომ იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად დაეწერა N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის 2022 წლის 6 აპრილის N 49/10 წერილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლის ტარიელ ფანჩულიძის წარმოდგენის შესახებ.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა N 49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის N 49/10 წერილი, სადაც დადგენილია რომ, საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა

შესაბამისად პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გამოკლებული წევრის ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლედ, რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი, ტარიელ ფანჩულიძე, დაბადებული 22.09.1963 წელი, მისამართი ს.ალისუბანი მე-10 ქ.N15, პარტიულობა ,,ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის".

აზრი გამოთქვეს: დათო ცხადაძემ, კობა კაცაძემ, გიორგი ბარათაშვილმა;

კომისიის წევრებმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე განაცხადეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე უნდა მოხდეს ტარიელ ფანჩულიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა.

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. ცნობილ უნდა იქნას საკრებულოს გამოკლებული წევრის ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლის ტარიელ ფანჩულიძისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

მუხლი 2. კომისიის დასკვნა და საკრებულოს განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: